ფინალი, ფინალი!...

გუშინ თბილისის "დინამოს" ფეხბურთლებმა ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში ჩაატარეს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის განმეორებითი ნახევარფინალური მატჩი ადგილობრივ "ფეიენოორდთან"

იოლ წარმატებას ამ მატჩში არავინ ელოდა. "ფეიენოორდი" გამოცდილი, ძლიერი პროფესიული გუნდია, რომელიც თავის მინდორზე ყოველნაირად შეეცდებოდა თბილისში განცდილი წარუმატებლობის ანაზღაურებას, მთელ თავის ძალებს გადაისროდა იერიშებისთვის.

და, მართლაც, ბრძოლა უკიდურესად დაძაბული, შეუპოვარი გამოდგა. თბილისელებმა კარგად დაიწყეს თამაში, რამდენიმე საიერიში კომბინაციაც გაითამაშეს, მაგრამ მასპინძლებმა შუა ტაიმიდან ხელთ აიღეს ინიციატივა, შეუტიეს და ტაიმის ბოლო წუთებზე გოლიც გაიტანეს – 1:0 (ბოუენსი).

შესვენების შემდეგ სურათი გამეორდა: დინამოელებმა კვლავ შეუტიეს, მერე კი დაცვაზე გადავიდნენ. საჭირო იყო ანგარიშის შენარჩუნება. 58–ე წუთზე "ფეიენოორდის" სასარგებლოდ დაინიშნა პენალტი, იგი ზუსტად გამოიყენა ნოტენმა და ანგარიში გახდა 2:0.

აღსანიშნავია, რომ თბილისელებმა ამ მატჩში სამჯერ აიღეს მეტოქის კარი და მსაჯმა სამივეჯერ აღნიშნა "თამაშგარე მდგომარეობა". ამას გარდა, შენგელია აშკარად უხეშად წააქციეს ჰოლანდიელთა მოედანზე, მაგრამ მთავარი – მიზანი – მიღწეული იქნა: თბილისის "დინამომ" ორი მატჩის ჯამში უკეთეს შედეგს მიაღწია – 3:2 და გავიდა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალში, რომელიც 13 მაისს გაიმართება ქ. დიუსელდორფში (გფრ).

თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაკილაშვილი), სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

"ლელო", 23 აპრილი, 1981 წ.